

# კორპორაციული პასუხისმგებლობის ანგარიში ©2024

ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

ლიბერთი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკია, რომელიც 1,7 მილიონზე მეტ ფიზიკურ პირსა და 60 000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს ემსახურება.

ბანკის აქტივები 5.4 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა 5500-ს აღემატება. ლიბერთი ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენილია ყველაზე ფართო ქსელით: 500-მდე მომსახურების ცენტრით, 662 ბანკომატით, თვითმომსახურებისა და 9956 POS ტერმინალით საქართველოს ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში.

განვითარებული ინფრასტრუქტურის გარდა, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ციფრული სერვისები და დისტანციური მომსახურება.

ლიბერთის მისიაა გააუმჯობესოს თითოეული ადამიანის, მათი ოჯახისა და ბიზნესის ცხოვრება საქართველოში.

© 2024

# ᲚᲘᲑᲔᲠᲗᲘ

ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

© 2024

განათლება თავისუფლებისთვის
**ლიბერთი**

ლიბერთისთვის კორპორაციული პასუხისმგებლობა ნიშნავს ადამიანებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას. როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე და მდგრადი ბიზნესი, ჩვენ მიზნად ვისახავთ ვიყოთ საზოგადოებისთვის პოზიტიური ცვლილებების მომტანნი.

ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის მთავარი მიმართულება – განათლებაა.

ცოდნის გაზიარება, ცნობიერების ამაღლება და ახალის შეცნობა – ესაა ის მიმართულებები, რომლებსაც ლიბერთის მიერ განხორციელებული პროექტები ემსახურება.

ჩვენ გვჯერა, რომ განათლება ორმხრივი პროცესია და ამ პროცესში ადამიანები როგორც ღებულობენ ასევე უზიარებენ სხვებს საკუთარ ცოდნას.

ამ გზით კი თითოეული ადამიანის ჩართულობა რეალურად ქმნის ახალ და ღირებულ შესაძლებლობებს.

**კორპორაციული
პასუხისმგებლობის
გუნდი**

© 2024

# ლიბერთი ბანკმა განათლების ხელშეწყობა სოციალური პასუხისმგებლობის მთავარ მიმართულებად აირჩია და უკვე ოთხი წელია ჩვენი გუნდი პარტნიორებთან ერთად წარმატებით ახორციელებს არაერთ საგანმანათლებლო პროექტს. ამ პროცესმა ნათლად დაგვანახა, რომ სასწავლო ინიციატივების ეფექტურობისთვის აუცილებელია მდგრადი და თანმიმდევრული მიდგომა.

კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების შედეგად, ჩვენ შევძელით 35 ათასზე მეტი ადამიანისთვის გაგვეზიარებინა კონკრეტული ცოდნა და ამ გზით ხელი შეგვეწყო მათი წინსვლისთვის.

პასუხისმგებლობის მიღმა არც საქართველოს მთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვები დაგვიტოვებია. შევეცადეთ, მათთვის სასურველ წიგნებთან ერთად, სახალისო, განსხვავებული ფორმით გვესაუბრა ჩვენი ქვეყნის საგანძურზე – „ვეფხისტყაოსანზე“.

ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებამ პროფესიულ სასწავლებლებთან პარტნიორობით განხორციელებულ პროექტებში მოგვაპოვებინა „პროფესიული განათლების ბიზნესპარტნიორის“ ჯილდო, თუმცა მთავარ მონაპოვრად მაინც პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს მივიჩნევთ, რომლებიც დღეს ჩვენი გუნდის წევრებთან ერთად ემსახურებიან ადამიანებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

თანაბარი მისაწვდომობის იდეით მოცულებმა შევქმენით და ვნერგავთ ინკლუზიურობისა და მისაწვდომობის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტს.

ლიბერთი ბანკისთვის განათლება მხოლოდ სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილი როდია – ეს არის ინვესტიცია, რომელიც განაპირობებს ქვეყნის, საზოგადოებისა და თითოეული ადამიანის წარმატებას.

ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ განათლების მხარდამჭერ ინიციატივებს, რათა ადამიანებს მივცეთ ცოდნის მიღებისა და გაზიარების რესურსი და მოტივაცია.

კარგი საქმე კაცსა ზღვა შთომ თუგრე არ წახდების.

© 2024

## ბექა გოგიჩაიშვილი

ლიბერთი ბანკის
გენერალური დირექტორი



ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ორგულიანსა.

# 35 345

ადამიანმა საგანმანათლებლო პროექტებით ცოდნა მიიღო

# 60

ახალგაზრდა მეწარმე დაფინანსდა რეგიონში

# 116

ტრენინგი ჩაატარეს ლიბერთის თანამშრომლებმა ცოდნის გაზიარების მიზნით

# 330

ლიბერთის თანამშრომელს დაუფინანსა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ფონდმა „გულით ერთმანეთისთვის“

# 110

ბავშვი მაღალმთიანი რეგიონიდან ჩაერთო პროექტში „ვთამაშობთ ვეფხისტყაოსანს“

# 70%

ლიბერთის კორპორაციული მდგრადობის პროექტების ბენეფიციარი ქალია

© 2024

# 35 317 244

**უნიკალური სოციალური ლოიალობის პროგრამის ფარგლებში მომხმარებელთა დაზოგილი თანხა**

# 80

პარტნიორი ორგანიზაციაა ჩართული ლიბერთის სოციალური ლოიალობის პროექტებში

# 7 432

ადამიანს ჩაუტარდა პირველადი უფასო სამედიცინო დიაგნოსტირება პროექტის MY DOC ფარგლებში

**ლიბერთი ბანკში დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი**

# 30%

ტოპ მენეჯმენტი

# 50%

მენეჯერულ პოზიციაზე

# 80%

ბანკში დასაქმებული

# პროექტების გავრცელების არეალი



© 2024

**მასწავლებლის ეროვნული ჯილდო**

გურჯაანი
წვირმი
დმანისი
თბილისი
საჩხერე
ყვარელი
ქუთაისი
ვარციხე

**ჩვენი ვეფხისტყაოსანი**

სიონი
ჩქვალერი
თელეთი
სამტრედია
ასკანა
თბილისი
ძველი ქვეში
ბათუმი

**ვთამაშობთ ვეფხისტყაოსანს**

ხულო
ბათუმი
ხონი
წალენჯიხა
სხვიტორი

**ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის (RDYE)**

რუსთავი
მარნეული
გარდაბანი
თეთრიწყარო
წალკა
ბორჯომი
ასპინძა
ადიგენი
ახალციხე
ახალქალაქი
ნინოწმინდა
გორი
ქარელი
კასპი
მცხეთა
დუშეთი
თიანეთი

**ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი**

ქუთაისი
ბათუმი
თბილისი
ბაღდათი
რუსთავი
ახმეტა
ჩოხატაური
ზუგდიდი
გორი
თელავი
ადიგენი

**MyDoc ულტრა თანამედროვე მოძრავი ტელე-კლინიკა**

ახალქალაქი
ჩუნჩხა
ხანდო
ოლავერდი
ღადოლარი
გოკიო
კარწახი
ბოზალია
ლომატურცხი
ნიკორწმინდა
ურავი
სადმელი
ხვანჭკარა
ხოტევი
ჭყვიში
ხონჭიორი
ველევი
ზნაკვა
პატარა ონი
კაჩაეთი
აკურა
ყარაჯალა
ქვემო ხოდაშენი
იყალთო
რუისპირი
ვანთა
ართანა
ლაფანყური
ლალისყური
თამარაშენი
მოხისი
ძლევიჯვარი
ატოცი
საყულია
კურსები
რიონი
გუმათი
ბროწეულა
ბანოჯა
წითელხევი
როკითი
ვარციხე
ხურვალეთი
სკრა
ხიდისთავი
ტინისხიდი
შერთული
ფხვენისი
ახრისი
ჯარიაშენი
კარბი
სუფსა
შუხუთი
გვიმბალაური
ზემო ჩიბათი
ახალსოფელი
ზემო აკეთი
ნიგვზიანი
აცანა
მელექედური
დვაბზუ
შრომა
ჟინვალი, ანანური
ჭოპორტი
ურბნისი
აბანოს კოდა
ნავაზი
მჭადიჯვარი

© 2024

ორთუბანი
ციხისუბანი
ჩირდილელიაანთკარი
ლაფანაანთკარი
დუდაურები
ძეგვი
წეროვანი,
ოკამი
ზაქარო
ფრეზეთი
წილკანი
არმაზი
ქვემო ბოლნისი
კაზრეთი
მამხუტი
ნახიდური
ბოლნისი
გეტა
დარბაზი
რაჭისუბანი
ზემო ბოლნისი
მუშევანი
კულაში
ქვემო ქვალონი
ბაში
ღანირი
შავღელე
გომი
კორმაღალი
ჯიხაიში
მუხური
კირცხი
ჭოღა
ივანწმინდა
ცხამი
გორისა
სხვიტორი
სარეკი
ბახიოთი
გორისა
პერევი
კორბოული
ჭალოვანი
წნორი
ბოდბისხევი
ძველი ანაგა
ჯუგაანი
მაღარო
ქვემო ბოდბე
ზემო ბოდბე
საქობო
ქვემო მაჩხაანი
მაშნაარი
ჭიათურა
ეწერი
რცხილათი
ზედა ბერეთისა
ვაჭევი
სალიეთი
პერევისა
ითხვისი
თაბაგრები
სვერი
ქვაციხე
წყალთბილა
ჭობარეთი
ოშორა
თმოგვი
სხვილისი
ვალე
ელიაწმინდა
ნიჯგორი
თისელი
ძველი
აწყური
აჯამეთი
არგვეთა
ქვედა საქარა
პირველი სვირი
ქვედა საზანო
ბოსლევი
კვალითის დასახლება
ძირულა
ლეღვანი
ფუთი
ზეინდარი
მუქედი
ამაღლება
სულორი
უხუთი
მთისძირი
სალომინაო
ყუმური
საპრასია
გორა
ბორჯომი
საკირე
ბაკურიანი
ყვიბისი
ჭობისხევი
ახალი უბანი
დაბა
სადგერი
ანდეზიტი
ახაშენი
კარდენახი
ვაჩნაძიანი
ძირკოკი
კახიფარი
მუკუზანი
მელაანი
ზეგაანი
ქოდალო
მახარაძე
ძველი სენაკი
ნოსირი
ეკი
ხორში
ბეთლემი
ნაგვახაო
კიწია
მუხურჩა
ზემო ჭალადიდი
ბეკამი
ნაბახტევი
სატივე
აგარა
ალი
ტკოცა
დუმაცხოვი
დიდი ფლევი
წაღვლი
ბულბულისციხე
ჩუმათელეთი
თერჯოლა
ქვ. სიმონეთი
ძევრი
ზედა საზანო
რუფოთი
თუზი
ჩხარი
ზემო ალისუბანი
ზემო სიმონეთი
კიზილ-კილისა
კუში
ხანდო
ხაჩკოვი
ავრანლო
ჩივთ-კილისა
აშკალა
ბურნაშეთი
ნარდევანი
საყდრიონი
თეჯისი
ლივადი
მაშავერაა
დიდი დმანისი
ამამლო
ირგანჩაი
გომარეთი
ზემო კარაბულახი
განთიადი
დაგარახლო
ზემო ოროზმანი
ბაზაქლო

© 2024

ავსა კაცსა ავი სიტყუა ურჩევნია სულსა, გულსა.

# ლიბერთი
# განათლებისთვის

© 2024

# 01.
# მასწავლებლის ეროვნული ჯილდო



ლიბერთი 2016 წლიდან ყოველწლიურად მხარს უჭერს გლობალურ კამპანიას – „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“.

© 2024

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ მიზანია მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია, გამორჩეული მასწავლებლების გამოვლენა და საზოგადოებისთვის მათი წარდგენა.

პროექტის ფარგლებში ყოველწლიურად შესაძლებელი ხდება საზოგადოებამ გაიცნოს ათობით მასწავლებელი, რომლებიც გასაოცარი ენთუზიაზმითა და სწავლების განსაკუთრებული მეთოდით ცდილობენ თავიანთი მოსწავლეებისთვის ცოდნის გაზიარებას. ჯილდოზე წარდგენილი იყო ოთხი ათასზე მეტი მასწავლებელი, „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ მიიღო 8 მათგანმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

**2024 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“-ს მფლობელი გახდა თბილისის №126 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი, ნათია უჩავა.**

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო
მომავალი განათლებაშია

© 2024



## ნათია უჩავა

№126 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი




© 2024

ლიბერთი პროექტის პარტნიორია

**2017** წლიდან

ჯილდოზე წარდგენილი მასწავლებლების რაოდენობა

*4 000*

**8**

მასწავლებელი გახდა „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ მფლობელი

© 2024


მესტია
ქუთაისი
სარხერი
ბაღდათი
ყვარელი
გურჯაანი
თბილისი
დმანისი

© 2024

„თითოეული მასწავლებლის ძალისხმევა, ასწავლოს მოსწავლეებს არა კონკრეტული ტექსტი, არამედ მისი არსი არის ძალიან მნიშვნელოვანი. აზროვნების თავისუფლება განაპირობებს სწორად მოაზროვნე საზოგადოების ჩამოყალიბებას.“

**თამარ ზაქარიაძე**
ლიბერთი ბანკის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულების ხელმძღვანელი

„ცოდნა, უპირველესად, ყოფით გარემოში ტრანსფერს გულისხმობს და მასწავლებლის როლი და მიზანიც ეს უნდა იყოს – დაეხმაროს მოსწავლეებს, მიღებული ცოდნა ცხოვრების თანამგზავრად აქციონ.“

**ნათია უჩავა**
2024 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“-ს მფლობელი

© 2024

# 02.

# პრემია "ჩვენი ვეფხისტყაოსანი"

2024 წელს, „განათლების კოალიციასა" და ლიბერთის შორის სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში დაწესდა პრემია – „ჩვენი ვეფხისტყაოსანი".

**კონკურსანტთა შერჩევის პროცესს წარმართავდა 5 წევრისგან დაკომპლექტებული ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ:**

**ალექსანდრე ლორთქიფანიძე**
მწერალი;
**თეონა ბექიშვილი**
თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგი;
**ლევან გელაშვილი**
ფილოლოგიის დოქტორი;
**ოქტაი ქაზუმოვი**
ფილოლოგი, მთარგმნელი;
**ნათა ლომოური**
ისტორიკოსი, კულტურის მენეჯერი.

მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები.

© 2024

# 2024 წლის 5 ოქტომბერს, ჟიური გამოავლინა გამარჯვებული მასწავლებლები და პრემიის „ჩვენი ვეფხისტყაოსანი" მფლობელები გახდნენ:

საბა მელისკაური – თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა სიონის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

მარინე კვარაცხელია – აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

მაკა ბუდაღაშვილი – გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

**გიორგი ჭაუჭიძე**
ძველი ქვეშის საჯარო სკოლის მასწავლებელი



**მარინე წიკლაური**
თბილისის №147 სკოლის მასწავლებელი



აწ იგი იქმნას, რაცაღა ენების ღმრთისა წერილსა.

© 2024



**მარინე კვარაცხელია**
პრემიის, „ჩვენი ვეფხისტყაოსანი" გამარჯვებული,
ჩქვალერის საჯარო სკოლის მასწავლებელი



**ეკატერინე შვანგირაძე**
სამტრედიის №1 საჯარო სკოლის მასწავლებელი

**257** შემოსული განაცხადების რაოდენობა

*10* ფინალში გადასული მასწავლებლების რაოდენობა

**3** პრემიით "ჩემი ვეფხისტყაოსანი" დაჯილდოვებული მასწავლებლების რაოდენობა

© 2024

„ჩემთვის, „ვეფხისტყაოსანი“ არის პოემა, რომელიც სარკისებურად აირეკლავს სამყაროს და მასში მიმდინარე პროცესებს. „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა, გააზრება თვითშემეცნების პროცესია – საკუთარი თავის, როგორც ადამიანის გაცნობა.“

**საბა მელისკაური**
პრემიის, „ჩვენი ვეფხისტყაოსანი“ გამარჯვებული,
დაბა სიონის საჯარო სკოლა



არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა.

© 2024

# მაკა ბუდაღაშვილი

პრემიის, „ჩვენი ვეფხისტყაოსანი" გამარჯვებული,
სოფელ თელეთის საჯარო სკოლა



© 2024

თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.

© 2024



# 03.

# ვთამაშობთ ვეფხისტყაოსანს

პროექტის „ვთამაშობთ ვეფხისტყაოსანს" ფარგლებში, ლიბერთის ინიციატივით, მაღალმთიანი აჭარის სკოლებსა და სამეგრელოს რეგიონში ლიტერატურათმცოდნე ლევან გელაშვილმა ჩაატარა შემეცნებითი ლექცია „საინტერესო ამბები რუსთაველზე", ლექციის შემდეგ კი მოსწავლეებმა „ვეფხისტყაოსნის" თემატიკაზე შექმნილი სამაგიდო თამაში ავტორთან ერთად ითამაშეს.

**პროექტის მიზანია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის „ვეფხისტყაოსნის" სწავლების პროცესის სახალისო ფორმით წარმართვა.**

მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია.

© 2024




© 2024



სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა.

„მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი პოპულარობისა, დღეს თანამედროვე სამყაროში მაინც საჭიროა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაცია და თანამედროვე ინტერაქტიულ გარემოში დაბრუნება.“

**ლევან გელაშვილი**
ლიტერატურათმცოდნე

© 2024

„ჩვენთვის საამაყო და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ყველა ის ინიციატივა, რომელსაც ლიბერთი ახალი თაობისთვის ქმნის. პროექტი „ვთამაშობთ ვეფხისტყაოსანს“ პოემის ახლებურ, საინტერესო გზით გააზრებაში ეხმარება სკოლის მოსწავლეებს. მაღალმთაიან აჭარასა და სამეგრელოს სკოლებში, პროექტმა დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც ჩვენთვის დამატებითი მოტივაციაა გავაგრძელოთ ის.“

**ნინი ბუკია**
ლიბერთი ბანკის სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერი




© 2024



© 2024

# 04.

# ლიბერთი – “ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის” სტრატეგიული პარტნიორი

კაცსა მოყვრისა გაჭირვა, ახ, მოუხდების, ახ, ავად.

MILLENNIUM INNOVATIONS AWARD
ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი

© 2024

**„ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი"  მიზნად ისახავს უფროსკლასელებში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისებას და საბუნებისმეტყველო-საინჟინრო (STEM) დარგებისადმი ინტერესის გაზრდას. 2024 წელს კონკურსს ჰყავდა 11 ფინალისტი გუნდი თბილისის, ქუთაისის, სენაკის, ბათუმის, ზუგდიდის, ახმეტისა და მცხეთის სკოლებიდან, რომელთაც პროექტები კოსმოსის, ავიაციის, რობოტექნიკის, მობილური ტექნოლოგიებისა და აპლიკაციების, გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, ენერგეტიკისა და სატრანსპორტო სფეროებში წარმოადგინეს.**



**"Pest Patrol"**

© 2024

**პირველი ადგილი** და აშშ-ის საელჩოს მთავარი პრიზი – NASA-ს კოსმოსური ცენტრის საზაფხულო სკოლაში გამგზავრება – მოიპოვა გუნდმა "Marine Guard". ქუთაისის 41-ე ფიზიკა-მათემატიკის სკოლის, სკოლა „სხივისა“ და წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებმა შექმნეს ინოვაციური უპილოტო ნავი, რომელიც ჩაღვრილი ნავთობის აღმოჩენის მიზნით მონიტორინგს უტარებს საზღვაო წყლებს და ავტომატურად ასუფთავებს დაბინძურებულ ზონებს სპეციალური ფილტრებით.

**მეორე ადგილი** წილად ხვდა გუნდს "Starfish". ბათუმის მე-6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის, ამერიკული საერთაშორისო სკოლა „პროგრესისა“ და ბათუმის ანდრია პირველწოდებულის სკოლის მოსწავლეებმა შექმნეს ჭკვიანი, ეკომეგობრული თევზის ფერმა. გუნდი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) დაფინანსებით, სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ) ID Tech ტექნოლოგიების ბანაკში მიიღებს მონაწილეობას.

**მესამე ადგილი** დაიმსახურა ნიუტონის თავისუფალი სკოლის გუნდმა "Pest Patrol". მოსწავლეებმა შექმნეს მცენარეთა მავნებლების დეტექტორი ჭკვიანი დრონი.

**ლიბერთი ბანკის დაფინანსებით, გუნდი სასწავლო ვიზიტით გაემგზავრება შვეიცარიაში, ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში (CERN).**



**“Marine Guard”**

**“Starfish”**



© 2024

საბრალოა, სიყვარული კაცსა შეიქმს გულმოწყალედ.

**2014** კონკურსი ტარდება 2014 წლიდან

*3 500* კონკურსში მონაწილე სკოლის მოსწავლეების რაოდენობა საქართველოს ყველა რეგიონიდან

**150** 10 წლის განმავლობაში ფინალში გადასული და შექმნილი ახალი ტექნოლოგიის და პროტოტიპის რაოდენობა

© 2024




გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

© 2024

„ლიბერთი და ათასწლეულის ფონდის სტრატეგიული პარტნიორობა ხელს უწყობს ახალგაზრდების ინოვაციური პოტენციალის გაძლიერებას საქართველოში. კონკურსი ეხმარება და წაახალისებს 13–17 წლის ახალგაზრდებს, თავიანთი მომავალი დაუკავშირონ მეცნიერებას, ტექნოლოგიებსა და ინჟინერიას. ინიციატივას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და ქვეყნის გრძელვადიან პროგრესშიც.“

**მაგდა მაღრაძე**
ათასწლეულის ფონდის
აღმასრულებელი დირექტორი

© 2024

# 05. ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის (RDYE)

With funding from
Austrian Development Cooperation

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის

RURAL DEVELOPMENT THROUGH YOUTH ENTREPRENEURSHIP

კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად.

RDYE არის 3.5 - წლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს მერსი ქორფსის წარმომადგენლობა საქართველოში (Mercy Corps Georgia) ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) დაფინანსებით.

პროექტის მხარდამჭერები არიან ლიბერთი ბანკი და სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი.

© 2024

პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების (18-დან 35 წლამდე) სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავებას, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიმართულების ბიზნესების მხარდაჭერას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და საბაზრო კავშირების დამყარების ხელშეწყობას.

პროექტის აქტივობები ფოკუსირებულია ახალგაზრდების სოციალურ და ეკონომიკურ მონაწილეობაზე, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სამეწარმეო პოტენციალის ხელშეწყობაზე.

ლიბერთი ბანკმა სპეციალურად პროექტის სასწავლო პროგრამისთვის შექმნა ფინანსური წიგნიერების სამეტაპიანი სასწავლო მოდული.



© 2024

# 2024 წელს

პროექტის ფარგლებში

127

საბაზისო სამეწარმეო ტრენინგი გაიარა

1 556

– მა ახალგაზრდა მეწარმემ

ჯამში დაფინანსდა

**24**

სტარტაპი

და

**36**

არსებული ბიზნესი

60

– მა ახალგაზრდა მეწარმემ ჯამში მოიპოვა

**1 200 000**

ლარის დაფინანსება

ხამს მიჯნური ხანიერი, არა მეძავი, ბილწი, მრუში.

© 2024



© 2024

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა.





© 2024



არ დაიჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცსა ეახლოების.

© 2024

| | |
|---|---|
| **754** | წარდგენილი ბიზნეს იდეა |
| **175** | წარმატებული კურსდამთავრებულისთვის ბიზნესგადამზადების პროგრამა (BET) |
| *156* | წარდგენილი ბიზნესგეგმა |
| **50%** | მონაწილე ქალი |

„პროექტი „ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის" უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ახალგაზრდების ბიზნესუნარების განვითარების, მათი საქმიანობის მხარდაჭერისა და გაფართოების მიმართულებით."

**გიგა სარუხანიშვილი**
RDYE პროექტის დირექტორი

„ჩვენ გვემაყება, რომ დღეს უკვე გვყავს ახალგაზრდა 60 მეწარმე, რომელთაც შეძლეს საკუთარი ბიზნესის მოფიქრება, განვითარება და თავისი მომხმარებლისთვის ხარისხიანი პროდუქტის შეთავაზება. მნიშვნელოვანია, რომ პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდებს დარჩნენ რეგიონში და გააძლიერონ ადგილობრივი ეკონომიკა."

**ვაჟა მენაბდე**
ლიბერთი ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის დირექტორი

გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და ჩვენია.

© 2024



# 06.

# ცოდნის გაზიარება: პროფესიული სასწავლებლები

**2019 წელს, ლიბერთიმ პირველად საქართველოში სტრატეგიული თანამშრომლობა დაიწყო პროფესიულ სასწავლებლებთან. ამ თანამშრომლობის მიზანია პროფესიული განათლების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მისი შესაბამისობა ბიზნესის თანამედროვე მოთხოვნებთან.**

თანამშრომლობის ფარგლებში ლიბერთიმ კოლეჯებში მოაწყო ბანკის მომსახურების სიმულაციური სივრცეები სრული სამუშაო აღჭურვილობით, რამაც სტუდენტებს დამატებითი შესაძლებლობა მისცა ესწავლათ და პრაქტიკაში გადაეტანათ მიღებული ცოდნა. ამ პროექტის დახმარებით ლიბერთი იქცა ბევრი მათგანის პირველ სამსახურად.

ლიბერთის სასწავლო ცენტრის ტრენერები პროფესიული სასწავლებლების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სპეციალურ ტრენინგებს რეგულარულად ატარებენ.

ყველა  სასწავლებლის საფინანსო სერვისების მიმართულების სტუდენტმა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაო პრაქტიკა გაიარა  ლიბერთის ფილიალებში.

2024 წელს ლიბერთიმ „პროფესიული განათლების ბიზნესპარტნიორის“ ჯილდო მოიპოვა.

© 2024

*162*

– მა ახალგაზრდამ
გაიარა სტაჟირება

**118**

ახალგაზრდა დასაქმდა

ყხვალ დავსცემდით, ვავსებდით, სიძყნწე ყმეცრყლოია.

© 2024








© 2024

„ლიბერთის მიერ დაწყებული ინიციატივის შედეგად, უკვე ასობით ახალგაზრდა ეუფლება საბანკო საქმეს პროფესიულ სასწავლებლებში. სპეციალურად მათთვის შექმნილი სიმულაციური ოთახებიც მნიშვნელოვნად აძლიერებს სწავლების ხარისხს. ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს, რომ ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, მოკლე ვადაში, თანამედროვე და პრაქტიკულ მიდგომებზე დაფუძნებული სწავლებით, დაეუფლონ საბანკო პროფესიას და წარმატებით დაიწყონ კარიერა."

**ნინო ჩიხლაძე**
ლიბერთი ბანკის ადამიანური მართვისა და ადმინისტრაციის მიმართულების ხელმძღვანელი

სჯობს სიკვდილი სახელოვანი ვიდრე სიცოცხლე ნაძრახი.

© 2024

# ლიბერთი
# თანასწორი შესაძლებლობებისთვის

© 2024

# 01.

# ინკლუზიური გარემო & თანასწორი შესაძლებლობები





© 2024

2024 წელს პროექტის „ინკლუზიური გარემო და თანასწორი შესაძლებლობები“ ფარგლებში ლიბერთის გუნდისა და საქართველოს განვითარების ფონდის (GDF) ჩართულობით შესაძლებელი გახდა ინკლუზიური სტანდარტების შემუშავება, დანერგვა და სივრცითი მისაწვდომობის პროცესის დაწყება. ლიბერთი პირველი საფინანსო ინსტიტუტია საქართველოში, რომელმაც საერთაშორისო მოთხოვნებისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით შეიმუშავა მისაწვდომობის სტანდარტი. ლიბერთიმ, 2024 წელს პროექტის „ინკლუზიური გარემო და თანასწორი შესაძლებლობები“ ფარგლებში შექმნა შშმ პირთა სერვისების ინკლუზიურობის პოლიტიკის დოკუმენტი. შემუშავდა და დამტკიცდა ფიზიკური მისაწვდომობის რეკომენდაციების გზამკვლევი, დაიწყო წინასწარ შერჩეული ფილიალების ადაპტირების პროცესი, განახლდა და დამტკიცდა შშმ პირების მომსახურების პროცედურა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ლიბერთის სასწავლო ცენტრმა საქართველოს განვითარების ფონდთან ერთად შექმნა მომხმარებელთან კომუნიკაციის როგორც ონლაინ, ისე პირისპირ ტრენინგის „ინკლუზიური მომსახურების“ სასწავლო მოდული და უშუალოდ ამ მიმართულებით გადაამზადა ტრენერები (TOT).

ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად.



**პროექტი მოიცავს რამდენიმე ეტაპს და მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა გაწერილია 3-წლიან პერიოდზე.**



„ინკლუზიური გარემოს შექმნა იწყება ღირებულებების გაზიარებით. სწორედ ამიტომ, ლიბერთის გუნდი აქტიურად ერთვება ცნობიერების ამაღლების პროცესში. გვინდა, რომ თითოეულ თანამშრომელს უკეთ ესმოდეს რას ნიშნავს თანასწორი შესაძლებლობები და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი ყველა ჩვენგანისთვის.“

**ნინო ბერიძე**
ლიბერთი ბანკის მომხმარებელთა გამოცდილების განყოფილების უფროსი

© 2024

„ინკლუზიური მომსახურების“ ტრენინგზე დამსწრეებმა არა მხოლოდ ახალი ცოდნა მიიღეს, არამედ რეალურად გააცნობიერეს თანასწორობისა და მისაწვდომობის აუცილებლობა. მათი ენთუზიაზმი და ჩართულობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რაოდენ მნიშვნელოვან პროექტს ვახორციელებთ.“

**მახარე მერებაშვილი**
სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი

# 02.

# გოგონათა ბანაკი თანასწორობისთვის

საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფს“-მა, ამერიკის საელჩოსა და ლიბერთი ბანკის მხარდაჭერით WISE პროგრამის ფარგლებში მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე, განახორციელა პროექტი „გოგონათა ბანაკი თანასწორობისთვის“. პროგრამაში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლიდან 20 მოსწავლე და 5 მასწავლებელი.

პროექტი 5-დღიანი იყო და მიმდინარეობდა რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრის ბაზაზე.

© 2024


















© 2024

# 03.

# „ლიბერთი გულით“ ლიბერთის თანამშრომლების საქველმოქმედო ფონდი

ლიბერთის გუნდის ინიციატივით შექმნილი ფონდის მიზანია ბანკის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დაფინანსება.

ბრძენთა უთქვამთ სიყვარული, ბოლოდ მისი არ-წახდომა.

**883** განევრიანებული ლიბერთი ბანკის თანამშრომელი

**286** -ჯერ გაცემული დახმარება

**589 125** ლარი

© 2024

„ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ არა მხოლოდ წარმატებული ორგანიზაცია, არამედ ძლიერი კორპორაციული კულტურა, რომლის მთავარი ღირებულება ადამიანია. გუნდში პროფესიონალიზმისა და დატვირთული სამუშაოს მიღმა ადამიანური ურთიერთობები და ერთმანეთის მორალური მხარდაჭერა გვაერთიანებს. ამ ფონდის მიზანი სწორედ, ყველაზე რთულ დროს, საკუთარი თანამშრომლების გვერდით დგომაა.“

**ნინო ჩიხლაძე**
ლიბერთი ბანკის ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

© 2024

# ლიბერთი

ხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიც წესად-რე.

© 2024

„ეს არის ერთი დიდი გუნდის, ყველაზე საამაყო პროექტი, რომელიც შეიქმნა სიკეთის გაცემისთვის და ჩვენ კიდევ უფრო მეტად გვაერთიანებს.“

**თეკლა ნადირაშვილი**
ხელფასების აღრიცხვის ჯგუფის უფროსი

ხამს, მამაცი გულოვნობდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს.

© 2024

გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს.

# ლიბერთი
# უფროსი
# თაობისთვის

© 2024

# 01.
# MyDoc ულტრა თანამედროვე მოძრავი ტელე-კლინიკა

სამი წელია მიმდინარეობს ლიბერთის პროექტი, რომელიც უფროსი თაობის მომხმარებელთა საჭიროებებზეა მორგებული.

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილმა მოძრავმა ტელე-კლინიკამ - MyDoc, ლიბერთის ექსპრეს მანქანებთან ერთად 608 სოფელი მოიარა და ლიბერთის 7 432 მომხმარებელს უფასო სამედიცინო მომსახურება გაუწია.

მაღალტექნოლოგიური კვლევები ჩატარდა გულ-სისხლძარღვოვანი და სასუნთქი გზების დაავადებების მიმართულებით.

ამ პროექტით ლიბერთიმ მიიღო საერთაშორისო აღიარება და გახდა Global Compact Awards 2022-ის გამარჯვებული.

მაგრა თქმულა კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების.

# 608

სოფელი

# 7432

მომხმარებელს გაეწია უფასო სამედიცინო მომსახურება

© 2024


MyDoc


მობილური ტელესამედიცინო კლინიკა
ლიბერთი
MyDoc
.libertybank.ge
www.mydoc.ge
ამერიკული
ჰოსპიტალი თბილისი


sonka

© 2024


ზუგდიდი
ჩხოროწყუ
ამბროლაური
ონი
მარტვილი
ხობი
სენაკი
წყალტუბო
ჭიაითურა
საჩხერე
თერჯოლა
სამტრედია
ზესტაფონი
ვანი
ჩოხატაური
ოზურგეთი
ხაშური
ქარელი
გორი
კასპი
დუშეთი
თიანეთი
მცხეთა
თელავი
ბორჯომი
ადიგენი
ახალციხე
ასპინძა
წალკა
გურჯაანი
სიღნაღი
ბოლნისი
ახალქალაქი
დმანისი

© 2024

# 02.

# სარგებელი სოციალური ბარათის მფლობელებისთვის

არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა.

**ლიბერთი უკვე 6 წელია ახორციელებს უნიკალურ ლოიალობის პროგრამას სოციალური ბარათების მფლობელებისთვის. პროგრამაში ჩართულია 14 პარტნიორი კომპანია, მათ შორის ქსელური სუპერმარკეტები, აფთიაქები და თეატრები მთელი ქვეყნის მასშტაბით.**

პროგრამის ფარგლებში ლიბერთის უფროსი თაობის მომხმარებლები და სოციალური ბარათის სხვა მფლობელები განსაკუთრებული პირობებით სარგებლობენ.

2019 წლიდან დღემდე, ლოიალობის პროგრამის ფარგლებში მომხმარებელთა მიერ  დაზოგილმა ჯამურმა თანხამ 35 317 244 ლარი შეადგინა.

© 2024

# 6 წელი

# 2019
წლიდან

# 14
პარტნიორი კომპანია

დაზოგილი ჯამური თანხა

# 35 317 244
ლარი

© 2024

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.

© 2024

ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა.

# ლიბერთი
# გარემოზე
# ზრუნვისთვის

© 2024

ლიბერთი ბანკს 2021 წლიდან დანერგილი აქვს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

2024 წელს „აწარმოე საქართველოსა" და „მსოფლიო ბანკთან" გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, ბანკმა აქტიურად განახორციელა ეკომეგობრული კომპანიების დაფინანსება.

ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB) თანამშრომლობის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, მომზადდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის: კლიმატური რისკების მართვის ჩარჩო, კლიმატის ცვლილების მართვის გეგმა, მწვანე დაფინანსების სტრატეგია და მწვანე დაფინანსების ჩარჩო.

ბანკში დაინერგა სათბურის აირების ემისიების (GHG) აღრიცხვის ინსტრუმენტი, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ბანკის ეკოლოგიური ნაკვალევის მონიტორინგსა და მართვას. დოკუმენტაციის ეფექტიანი იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად, 2024 წელს შეიქმნა ESG სამუშაო ჯგუფი. ამავე წელს ჩატარდა არაერთი ტრენინგი ისეთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებზე, როგორიცაა კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული რისკების მართვა, მწვანე დაფინანსების პირობები და პრინციპები.

ეს ინიციატივები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არა მხოლოდ ლიბერთის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, არამედ ქვეყნის ეროვნული კლიმატის ცვლილების სტრატეგიის განხორციელებას.

© 2024

# *Signify Pad* - მომსახურების გაციფრულება

**ლიბერთიმ ფილიალებში დანერგა ინოვაციური ციფრული მომსახურება — „Signify Pad", რომელიც სპეციალურად ლიბერთისთვის შეიქმნა პლატფორმა Signify-სთან პარტნიორობით. აღნიშნული ინიციატივა პირველად ხორციელდება საქართველოში და მიზნად ისახავს ხელმოწერების პროცესის გაციფრულებასა და მომხმარებლისთვის მომსახურების გამარტივებას. ციფრული ხელმოწერის დანერგვის პროცესი ლიბერთის ფილიალებში უკვე 2024 წლიდან მიმდინარეობს. ბანკი აგრძელებს პროექტის გაფართოებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს ბანკის მიერ გამოყენებული ქაღალდის რაოდენობას.**

ვჰგმობ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა.








© 2024

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირი ამად კარგი.

© 2024

2024 წელს განხორციელებული ყველა ინიციატივა საერთო ძალისხმევის შედეგი იყო. წარმატება დაფუძნებულია ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და თანამშრომლების ნდობასა და მხარდაჭერაზე.

ლიბერთისთვის ინკლუზიური, მდგრადი და პასუხისმგებლიანი განვითარება მხოლოდ სიტყვები არ არის — ეს არის მიზანი, რომელსაც თქვენს გარეშე ვერ მივაღწევთ.

ამ ანგარიშის საშუალებით გულწრფელი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველა ადამიანს, ვინც ამ გზაზე ჩვენი თანამგზავრი იყო – ვინც გაიზიარა ჩვენი ღირებულებები და დაგვითმო დრო, ცოდნა და ენერგია.

© 2024

განათლება
თავისუფლებისთვის
ლიბერთი

© 2024